

დანართი N1

ვითიბისა და ვიზას ერთობლივი წამახალისებელი კამპანია - გადაიხადე ვითიბი ბანკის ვიზა ბარათით Apple Pay-ის მეშვეობით და მოიგე 2 კაციანი საგზური საქართველოს ტოპ სასტუმროებში 2 ღამით.

კამპანის პირობები:

კამპანიის პერიოდი:

04.09.2019-დან 01.12.2019-ის ჩათვლით.

კამპანიაში მონაწილე ბარათის ტიპი:

„ვითიბი“ ბანკის ვიზას ყველა ტიპის ბარათი, რომლითაც განახორციელდება გადახდა Apple Pay-ის მეშვეობით კამპანიის პერიოდში.

კამპანიაში მონაწილეობას ვერ მიიღებს:

- ბარათი, რომლის მფლობელია 18 წლამდე ასაკის ფიზიკური პირი.
- ბარათი, რომლის მფლობელია არარეზიდენტი ფიზიკური პირი.
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირები, რომლებსაც ეკრძალებათ გათამაშებაში მონაწილეობის მიღება.
- ბარათი, რომლის მფლობელია იურიდიული პირი.
- ვითიბი ბანკ ჯორჯიას თანამშრომლები.

კამპანიის წესები:

- გამარჯვებული გამოვლინდება ყოველი კვირის დასრულებისთანავე არაუგვიანეს მომდევნო კვირის მეორე სამუშაო დღეს.
- პირველი გამარჯვებული გამოვლინდება მეორე კვირის დასრულებისთანავე მომდევნო კვირის პირველ სამუშაო დღეს.
- გამარჯვებულად დასახელდება ის მომხმარებელი, რომელიც კამპანიის პერიოდში, ყველაზე მეტჯერ გაატარებს VTB-ის ბარათ(ებ)ს Apple Pay-ის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ ერთზე მეტი მონაწილე დააგროვებს ერთნაირი რაოდენობის ტრანზაქციებს, გამარჯვებული გამოვლინდება შემდეგი პრინციპით:
 - I პრიორიტეტი: მომხმარებელი რომელსაც ყველაზე მეტი მოცულობის თანხა ექნება გატარებული Apple Pay-ის მეშვეობით..
 - II პრიორიტეტი: მომხმარებელი რომელიც მიმდინარე კვირაში პირველი გაატარებს ვითიბი ბანკის ვიზა ბარათს Apple Pay-ის მეშვეობით.

- 30.07.2019-დან, გათამაშების წესებში შედის ცვლილება: გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად, ტრანზაქციის მინიმალური მოცულობა უნდა შეადგენდეს 5 ლარს.
- ნებისმიერი სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების შემთხვევაში, მონაწილე ბარათის მფლობელი მოიხსნება გათამაშებიდან და ვერ მიიღებს არასამართლიანად მოგებულ პრიზს.
- კამპანიის წესების თანახმად, თუ გამარჯვებული ბარათების მფლობელად ფიქსირდება ერთიდაიგივე პიროვნება, მათი ტრანზაქციები დაჯამდება.
- გამარჯვებულს არ შეუძლია პრიზი გადაცეს მესამე პირს.
- გამარჯვებულს არ შეუძლია პრიზის სანაცვლოდ ანაზღაურების მოთხოვნა.
- კამპანიის ნებისმიერი კვირის გამარჯვებული გამოეთიშება მომდევნო კვირების გათამაშებას.

საუკეთესო შედეგების მქონე ბარათის მფლობელები დაჯილდოვდებიან შემდეგი პრიზებით:

	პრიზები
I კვირა (4-15 სექტ.)	“Paragraph Resort & Spa Shekvetili, Autograph Collection”
II კვირა (16-22 სექტ.)	“Paragraph Resort & Spa Shekvetili, Autograph Collection”
III კვირა (23-29 სექტ.)	“Paragraph Resort & Spa Shekvetili, Autograph Collection”
IV კვირა (30 სექტ. – 6 ოქტ.)	“Radisson Collection Hotel, Tsinandali Estate Georgia”
V კვირა (7-13 ოქტ.)	“Radisson Collection Hotel, Tsinandali Estate Georgia”
VI კვირა (14-20 ოქტ.)	“Radisson Collection Hotel, Tsinandali Estate Georgia”
VII კვირა (21-27 ოქტ.)	“Radisson Collection Hotel, Tsinandali Estate Georgia”
VIII კვირა (28 ოქტ. – 3 ნოე.)	“Radisson Collection Hotel, Tsinandali Estate Georgia”
IX კვირა (4-10 ნოე.)	“Rooms Hotels Kazbegi“

X კვირა (11-17 ნოე.)	“Rooms Hotels Kazbegi“
XI კვირა (18-24 ნოე.)	“Rooms Hotels Kazbegi“
XII კვირა (25 ნოე. – 1 დეკ.)	“Rooms Hotels Kazbegi“

*პრიზი მოიცავს: ორ ადამიანზე სასტუმროში, ორ ადგილიან ნომერში განთავსებას, ორი ღამით; (პრიზის გამოყენება, დამოკიდებულია სასტუმროს დატვირთულობის მიხედვით და შესაძლებელია 19 დეკემბრის ჩათვლით).

კამპანიის მონაწილეების რეიტინგის გამოქვეყნების პრინციპი:

კამპანიის პერიოდში ვითიბი ბანკ ჯორჯიას ვებ-გვერდზე, ყოველ ორშაბათს გამოქვეყნდება მონაწილეთა სია შემდეგი მონაცემებით:

1. ბარათის მფლობელის ინიციალები და დაბადების თარიღი;
2. გატარებული ტრანზაქციების რაოდენობა;
3. იმ შემთხვევაში თუ დაფიქსირდა ორი გამარჯვებული უპირატესობა მიენიჭება ტრანზაქციების მოცულობას და მონაცემები დამატებით გაჩნდება მონაწილეთა სიის გვერდზე.
4. თუ მეორე და მესამე პუნქტი ერთმანეთს ემთხვევა, ამ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება მას ვინც მიმდინარე კვირაში პირველმა გაატარა ვითიბი ბანკის ვიზა ბარათი Apple Pay-ის მეშვეობით და მონაცემები დამატებით გაჩნდება მონაწილეთა სიის გვერდზე.

შენიშვნა:

ბანკი იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეიტანოს ცვლილება კამპანიის პირობებში, რისთვისაც დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს ცვლილებების გამოქვეყნებას, ხოლო მონაწილე ვალდებულია გაეცნოს ვებ გვერდზე არსებულ კამპანიის წესებს.